საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N581 2025 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა განაწილდეს იმ მუნიციპალიტეტებში, რომელთა ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მდებარეობს გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებები, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგი წესის მიხედვით:

ა) შესაბამის მუნიციპალიტეტს მიეცემა 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

ბ) დარჩენილი თანხა განაწილდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი თითოეული გამყოფი ხაზის

მიმდებარე დასახლების 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

3. ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხით განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის მიმართ მოქმედებს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების 3[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი თანადაფინანსების ვალდებულება.

4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხ(ებ)ით განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის შერჩევის პროცედურა და კრიტერიუმები, აგრეთვე პროექტების განხორციელების მიმდინარეობა განხორციელდეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ამ განკარგულების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში მიღებული თანხები, ჯამურად, გამოიყენოს ამავე განკარგულების შესაბამისად შერჩეული პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად, შესაბამისი წესის მიხედვით დადგენილი დასაფინანსებელი პროექტების შინაარსის გათვალისწინებით.

6. ამ განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების ფარგლებში მიღებული თანხების გამოყენების შემთხვევაში, გამოიყენება ამავე განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი.

7. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში შესაძლებელია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების მიზნით, საქონლის შესყიდვა.

8. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე განკარგულებით დადგენილი პროცედურებით და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალ გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებაში/დასახლებებში.

9. პროექტ(ებ)ისთვის გათვალისწინებული თანხის შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადარიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ამ განკარგულების შესაბამისად და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

10. თუ მუნიციპალიტეტმა 2025 წლის 1 სექტემბრამდე ვერ წარადგინა ამ განკარგულების დანართის შესაბამისად გათვალისწინებული თანხის

ფარგლებში განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი თანხის გამოყენების შესახებ, მხოლოდ ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ სხვა მუნიციპალიტეტ(ებ)თან მიმართებით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სხვა დასახლებაში/დასახლებებში.

11. ამ განკარგულების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვები შესაძლებელია, წარმოადგენდეს მრავალწლიანი შესყიდვის კატეგორიის შესყიდვას.

12. ამ განკარგულების მე-11 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის მრავალწლიანი შესყიდვით განხორციელების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გათვალისწინება შესაბამისი წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ან „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებითა და კრიტერიუმებით შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

13. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

14. ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული თანხის/თანხის ნაწილის მუნიციპალიტეტის მიერ აუთვისებლობის ან/და ეკონომიების წარმოქმნის შემთხვევაში, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული თანხით პროექტების დაფინანსების შესახებ, მხოლოდ ამ განკარგულების

დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტ(ებ)თან მიმართებით, გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებაში/დასახლებებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

№	მუნიციპალიტეტი	გამოსაყოფი თანხა (ლარი)
1	საჩხერის მუნიციპალიტეტი	591 000
2	დუშეთის მუნიციპალიტეტი	641 000
3	ოწის მუნიციპალიტეტი	600 000
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1 940 000
5	მესტიის მუნიციპალიტეტი	634 000
6	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	747 000
7	გორის მუნიციპალიტეტი	2 410 000
8	კასპის მუნიციპალიტეტი	637 000
9	ქარელის მუნიციპალიტეტი	1 236 000
10	ხაშურის მუნიციპალიტეტი	564 000